1 (13) აპრილი, 1866. № 5. პირველი წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
| --- | --- | --- |
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| 10-ის თვისა | — 6 — | — — — 5 — |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ა. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

Библиотека

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

---

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულებანი. პარიჟის საქვეყნო გამოფენაზედ 1867 წელში. მთავრობის განკარგულება: გაწესება და დათხოვნა ჩინოვნიკებისა. — პოლიტიკა. ანგლია: გლადსტონის ბილლი. იტალია: გარიბალდის აზრი პოლიტიკაზედ. დუნაის სამთავროები. — ტელეგრამმები. — სალიტერატურო ნაწილი. ისტორიული მოძრაობა განათლებისა. სხვა და სხვა ამბავი. ფელეტონი. დედა-კაცის აზრი დედა-კაცებზედ. ბიბლიოგრაფია კერძოობითი განცხადება.

---

### მმართებლობის განკარგულება.

### პარიჟის საქვეყნო გამოფენა (выставка) 1867 წლისა. (*)

(ტფილისის კამიტეტისაგან, რომელიც დაწესებულია პარიჟის საქვეყნო გამოფენისაგამო).

19 მარტს 1867 წელს პარიჟში გამოიფინება ყველა ქვეყნებიდამ შეგროვებული ნაწარმოები ხელოვნებისა, სოფლის მეურნეობისა, და მანუფაქტურის სხვა და სხვა გვარი ნივთები. ამ გამოფენისათვის არის დანიშნული ერთი ძალიან დიდი შენობა. აქ ნივთები დაიყოფება 10 ნაწილათ და იმ რიგათ დაიწყობა, რომ თვითოეულს შეეძლება განიხილოს ხელოვნების და განათლების ხარისხი, რომელზედაც რომელიმე ხალხი დგას, და ამასთანავე შეიტყოს, თუ რა მდგომარეობაშია ერთი რომელიმე ნაწარმოების გვარი სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მთელი შენობა შეიცავს 146,588 კვადრატის მეტრს (**) ან 32,200 კვადრატის საჟენს, ე. ი. დაჰფარავს 13 დესატინაზედ მეტს ადგილს. შენობას იქით-აქეთ ეკვრის ბაღი; აქ შეკრებულნი იქნებიან: შინაური პირუტყვები, მცენარეები, სასოფლო სამუშავო ავეჯეულების ნამუშები და სხვა ამნაირი ნივთები. მიწის სივრცე, რომელსაც შენობა და ბაღი დაიჭერს, იქნება 100,000 კვადრატის საჟენი ან 41 დესატინა.

შენობაში ყველა სახელმწიფოებს აქვს დანიშნული თავისი ადგილი. ასე მაგალითათ:

| | კვადრ. მეტრი. |
| --- | --- |
| ფრანცია თავის კოლონიებით დაიჭერს | 64,056 |
| ანგლია თავისის კოლონიებით. . | 23,002 |
| გერმანია . . . . . . . . . . . . . . | 22,584 |
| ბელგია . . . . . . . . . . . . . . | 7,249 |
| იტალია . . . . . . . . . . . . . . | 4,536 |
| ჩრდილოეთის ამერიკის შტატები. | 3,346 |
| რუსეთი . . . . . . . . . . . . . . | 2,916 |
| ოსმალეთი . . . . . . . . . . . . . | 1,296 |
| საბერძნეთი . . . . . . . . . . . . | 648 |
| სპარსეთი და შუა აზია. . . . . . | 648 |

ამ გამოფენის თაობაზედ უმაღლესის ბრძანებით დაწესებულია პეტერბურგში განსაკუთრებითი კამმისია, რომელმაც უნდა მოახდინოს განკარგულება შესახებ რუსეთის მონაწილეობისა პარიჟის საქვეყნოს გამოფენაში. გარდა ამისა რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ნაწილების შუა ქალაქებში გახსნილია კამიტეტები, რომელნიც უნდა მოეხმარნენ პეტერბურგის კამმისიას, შეკრიბონ და ამოარჩიონ ადგილობრივი ნაწარმოები.

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის, დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ნებით ტფილისში დაწესდა კამიტეტი, რომელმაც უნდა შეადგინოს პარიჟის გამოფენაში კავკასიის ნაწილი. ამ კამიტეტის პრედსედატლათ იქნება გენერალ-მაიორი იეანიცკი და წევრებათ: ინსპექტორი სააგრონომიო სასწავლებლისა დეიჩმანი, აგრონომი ხატისოვი, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის ადიუტანტი კნ. ტრუბეცკოი.

კამიტეტმა კიდეც შეადგინა პროგრამმა კავკასიის მხრის ნაწარმოებისა და ამოირჩია 40 თანაშემწე ამ მხრის სხვა და სხვა ადგილებში. ამასთანავე კამიტეტმა აცნობა ეს საქმე ყველა გუბერნიების და ობლასტების ნაჩალნიკებს, ბევრს ფაბრიკანტებს, მემადნეებს და სხ.

ახლანდელს დროში კავკასია კასპიის ზღვიდამ შავს ზღვამდე დამორჩილებული და დამშვიდებული, წარმოადგენს ვრცელს ასპარეზს ყოველ ნაირის მოქმედებისათვის. ჩვენი ვალია ევროპიელებს ვუჩვენოთ ჩვენის ქვეყნის ყოველ გვარი ნაწარმოები, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში მოვიზიდოთ. იმათ უნდა შეიტყონ, რომ ჩვენი მხარე მდიდარია ბუნებითა, რომ აქ იმისთანა ბევრი რამ არის, რაც ჯერ არ ამორჩენილა, და ბევრისთვის, რაც ამორჩენილია, ჯერ ხელიც არ გვიხლია. კავკასია მოუთმენელათ მოელის მცოდნე და მოქმედს პირებს, აგრეთვე კაპიტალს, რომელთაც ის უხვათ დააჯილდოებს შრომისთვის.

ტფილისის გამოფენას, რა საკვირველია, ასრულება არ შეეძლო იმ მნიშვნელობისა, რომელსაც ამ გვარი დაწესება ევროპაში აღმოაჩენს. ამის მიზეზი არის ერთის მხრით ღონისძიების ნაკლულევანება, და მეორის მხრით ახალი დაწყება ამ საქმისა. სასოფლო მეურნეობა და ხელოსნობა ევროპაში დიდს წარმატებაში შევიდა ამ უკანასკნელის 15 წლის განმავალობაში. ფრანციის მოწინავე პირნი გვარწმუნებენ, რომ ამ წარმატებას ძალიან ეწევა მრავალი გამოფენა, რომელიც ყოველს წელიწადს გაიხსნება ხოლმე იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში.

ტფილისში აქამომდე მხოლოთ ოთხი გამოფენა იყო. ამ გამოფენაში ბევრი ნაწარმოები ჩვენის ქვეყნისა არ იყო წარმოდგენილი; აქედამ სჩანს, რომ აქაური მცხოვრებლები გულგრილათ უყურებენ ამ საქმეს და ჯერ არ იციან დაფასება სასოფლო მეურნეობის და ხელოსნობის წარმატებისა. არც ერთს ტფილისის გამოფენას არ წარმოუდგენია სრული სურათი ადგილობრივის მიწის და ხელოსნობის ნაწარმოებისა.

მაგრამ ჩვენი დრო იმას მოითხოვს, რომ კავკასიამაც ევროპას მიბაძოს. ახლა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა მომზადებულია სასოფლოს მეურნეობისა და ხელოსნობის წარმატებისათვის. აქ მშვიდობიანობა და წესი დამყარებულია, გზები კეთდება.

რაც კი ნივთებია გასაგზავნი პარიჟში გამოსაფენათ, უნდა მოიტანონ ტფილისში ზარაფოვის სახლში, გოლოვინის პროსპექტზედ.

ნივთების მიღების ვადა ტფილისში თავდება ამ წლის 15 სეკტემბერს.

ყოველივე ხარჯი, რომელსაც მოითხოვს ნივთების ჩამოტანა ტფილისში და პარიჟში და აგრეთვე უკან დაბრუნება და ჩაბარება პატრონისათვის, კამიტეტს უკისრნია თავის თავზედ.

დაწვრილებითი ცნობა, რომელიც პარიჟის გამოფენას შეეხება, შეიძლება მიიღონ ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 9 საათიდამ 11 საათამდე, კამიტეტის წევრებისაგან: ხელოვნების ნაწარმოებისათვის — გვარდიის პოლკოვნიკისაგან კნიაზის სერგეი ნიკიტიჩის ტრუბეცკოისაგან, საკუთარს სადგომში, სოლოლაკზედ, ბებუთაანთ ახალს ქუჩაზედ, ამირხანოვის სახლში; სასოფლო მეურნეობისა და ხელოსნობისათვის — აგრონომის იეანე სტეფანეს ძის ხატისოვისაგან, სერგიევის ქუჩაზედ, ამირალოვის სახლში. ამ გვარის ცნობების მიღება შეიძლება კავკასიის სხვა და სხვა ადგილებშიაც კამიტეტის კორრესპონდენტებისაგან. (*) მესნი კამიტეტის ხარჯით გამოგზავნიან

(*) ეს სტატია გამოკრეფილია 11 ნუმრიდამ „კავკაზის“ გაზეთისა.

(**) მეტრი არის $1^{2}/_{5}$ არშინი.

(*) კორრესპონდეტი ნიშნავს კაცსა, რომელიც სხვა და სხვა ადგილიდამ მინდობილს საქმეს ასრულებს; კორრესპოდენტს აგრეთვე უწოდებენ იმ პირს, რომელიც

---

### დედა-კაცის აზრი დედა-კაცებზედ.

ახლანდელს დროში დაწინავებულნი პირნი განათლებულს ქვეყნებში ნამდვილათ გრძნობენ, რომ ქალს საზოგადოებაში არა აქვს მინიჭებული თავისი შესაფერი მდგომარეობა. ყოველ სახელმწიფოს სჯულში არის ზოგი იმისთანა კანონები, რომლის გამოთაც დედა-კაცი იჩაგრება და იმდენი თავისუფლება არ მიეცემა, რამდენიც საჭიროა სახელმწიფოს კეთილ მდგომარეობისთვის და შთამომავლობის სასარგებლოთ. ეჭვი არ არის, ამ სიტყვებზედ ჩვენი ქალები წყრომას დაგვიწყებენ. — როგორ თუ შესაფერი მდგომარეობა არა გვაქვსო? დაჩაგვრა კი არა, ჩვენოდენი უფლება და ღირსება არავის არა აქვს. აი წარმოვიდგინოთ, როდესაც ქალი და კაცი ქუჩაში ერთათ დასეირნობენ; დედა-კაცი წინ მიდის და მამა-კაცი კი ბიჭსავით უკან აედევნებაო. ქალები არა ვართ, რომ კაცები, როგორც მეფეს, მოწიწებით ხელზედ გვკოცნიან და ზოგჯერ ჩვენს წინ მუხლსაც მოიყრიან? აბა ერთი მიჩვენე საზოგადოების ყრილობაში, თუ ქალს ყოველთვის კაცზედ უპირველესი ადგილი არ უჭირავს! ვის გაუგონია ამ გვარი ცილის წამებაო! არა, ეგ ტყუილი მოგიგონია, ვილაც გამოსულხარ და სწერ; მაგ სიტყვებს არაოდეს ჩვენ თავზედ არ მივიღებთ. ჩვენისთანა ბატონები მამა-კაცები არ არიანო, ჩვენ ოჯახებში ბატონებათ ვზივართ და ისინი კი ოფლის წურწურით შრომობენ და ხარჯს გვაძლევენო. — პატივცემულნო მანდილოსანნო, ძლიერ ნუ გაცხარდებით; გული დაიმშვიდეთ და ისე მოისმინეთ ჩემი საუბარი. მე აქ უფრო ერთის გამოჩენილის დედა-კაცის პირით ვლაპარაკობ, რომელსაც არ მოსწონს ქალის ბატონობა ახლანდელს დროში და ამბობს, რომ ამ გვარი ბატონობა დედა-კაცის დამამცირებელი და შეუფერებელი არისო. მაშ ახლა განვაგრძობ ლაპარაკს. დედა-კაცს კანონით აკრძალული აქვს, რომ თავისი ნიჭი და გონიერება საზოგადოების წარსამატებლათ მოიხმაროს. დედა-კაცს არ შეუძლიან საზოგადო საქმისთვის იშრომოს, ისე როგორც მამა-კაცსა; იმას არ შეუძლიან ცხოვრების საშუალობა პატიოსანის გარჯით მოიპოვოს. საზოგადოების ჩვეულება დედა-კაცს ნებას არ აძლევს, რომ თავისი გონება გაანათლოს იმდენათ, რამდენათაც მამა-კაცს შეუძლიან თავისის გონების გახსნა. საზოგადოების წესდებულება უშლის დედა-კაცს, რომ ის სახელმწიფო გამგეობის წევრათ გახდეს; იმას არ შეუძლიან შეიქნეს მასწავლებელი, ექიმი, სამოქალაქო თანამდებობის აღმასრულებელი და სხვა. რადგანაც დედა-კაცს არა ვითარი წყარო თავისუფლათ ცხოვრებისა არა ჰქონია, ამისთვისაც ის გამხდარა სრული მონა მამა-კაცისა. ის პირმოთნეობა, რომელიც ცოლ-ქმრობაში ხშირია ოჯახის გამრყვნელი და ზნეობის დამამცირებელია. ხასიათის შეუთვისებლობით რომ ცოლის გულში უკმაყოფილება აღიძრას, უეჭველათ ქალმა ეს უკმაყოფილება უნდა დაჰფაროს და მუდამ თავის გულს უნდა ასკდებოდეს. ამ ნაირის მდგომარეობისაგან დედა-კაცი ვერას ღონისძიებით თავს ვერ იხსნის. თუ ეს უკმაყოფილება იმან ცხადათ წარმოსთქვა, ვაი იმის მოსწრებას!... მეტი გზა არ არის, ყოველს ამ ნაირს მდგომარეობაში დედა-კაცი პირმოთნეობით უნდა აღიჭურვოს. აი, ამ გვარმა საზოგადოების სასტიკმა ჩვეულებამ და სჯულმა აღძრა ქალების დრტვინვა და განათლებულის კაცების უკმაყოფილება.

ყოველი ჰკვიანი ქალი და კაცი ევროპისა და ამერიკისა ებრძვის საზოგადო წყობილებას და იმის ჩვეულებას დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. სხვათა დედა-კაცებთა შორის ერთი ფრიად განათლებული ქალი, გრაფინა დორა დისტრია ძალიან უკმაყოფილოა ახლანდელს შეუფერებელს ქალის მდგომარეობაზედ. დორა დისტრია დედა-კაცის მდგომარეობას სხვა და სხვა საზოგადოებაში ისტორიულათ განიხილავს და იმ აზრზედ დამყარდება, რომ უგუნურს კაცის სიმძლავრეს დედა-კაცი მამა-კაცის მონათ გაუხდიაო. აი რას იტყვის ისა: ველურს ხალხში დედა-კაცს პირუტყვსავით ეპყრობიან და ზოგჯერ იმის მდგომარეობაზედაც უფრო სამძიმოა. აქ დედა-კაცი ღმრთებისაგან მოძულებულათ მიაჩნიათ. დედა-კაცს მამა-კაცთან პურის ჭამა არ შეუძლიან; რაც მამა-კაცის საჭმელია, იმას დედა-კაცი ვერ შეეხება, მამა-კაცთან ვერ დაჯდება. რომელს ჭურჭელსაც მამა-კაცი ხმარობს, დედა-კაცი იმ ჭურჭელს ვერ იხმარებს. ის იქ მამა-კაცს ვერას დაამადლებს და მამა-კაცი კი იმაზედ ხშირათ მოიხმარს ხოლმე თავისს ძალას. ამ გვარი დედა-კაცის დამოკიდებულება ძველიდამ აქამომდე მომდინარეობს, მხოლოთ ეს კი არის, რომ ეს დამონავება თან-და-თან სუსტდება. აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალის მდგომარეობა არ არის ისე სასტიკი. დედა-კაცი რომ ველურს ხალხს პირუტყვად მიაჩნია, აღმოსავლეთის ხალხი იმას ისე უყურებს, როგორც თავისს მონას. თუმცა ქალი იქაც ნივთსავით

ტფილისში ნივთებს, რომელთაც ექსპონენტები (**) მათ წარმოუდგენენ. საქართველოში კამიტეტის კორრესპოდენტები არიან შემდგომნი:

სულხანიშვილი, Iვანე Dავითის ძე, მებატონე Bორის უეზდში სოფელს Tირძნისს.

Bალცმანი, Tეოდორე Iვანეს ძე, Tფილისში.

Fიეგი, Bუსტავი, Tფილისის უეზდში, Lოქინში.

Vოლიანსკი, Tეოდორე Kარლოს ძე, Tფილისში.

Fონ-Pურენბანხი, ყველის მკეთებელი Tფილისის უეზდში, Bორჩალოს უჩასტკაში, Mამუთლს.

T. Aფხაზიშვილი, Dიმიტრი Iვანეს ძე, მებატონე Sიღნაღის უეზდში, ს. Kარდანახს.

Dეიჩმანი, Aნდრია Iვანეს ძე, Tფილისში.

Sადინოვი, Iვანე Sვიმონის ძე, უჩასტკის მდივანბეგი, Sიღნაღში.

Bრაფი Rაზმურდუკი, Zუგდიდში.

Iოანესიანცი, Sერგეი Rომანეს ძე, Oნანოვის მამულის მმართველი Vარციხეს, Qუთაისის უეზდში.

Fონ-Vელკე, Aლექსანდრე Tეოდორეს ძე, Qუთაისში.

Bიტტერი, მებაღე Sუხუმში.

Dობროვოლსკი, Dიმიტრი Vასილის ძე, აგრონომი, Qუთაისში.

Sავროვი, Nიკოლოზ Aლექსანდრეს ძე, Fოთში.

Lოლობერიძე, Bიორგი Bესარიონის ძე, Qუთაისს.

T. Nაკაშიძე, Mიხეილ Dავითის ძე, მებატონე Bურიამთას, Bურიაში.

Kამიტეტი მოიწვეს ყველა Kავკასიის ადგილმამულის მეურნეობს, ფაბრიკანტებს, ვაჭრებს, და ხელოსნებს და სხვებს, რომ მონაწილეობა მიიღონ Pარიჟის გამოფენაში. Ç ვენ უნდა ვეცადნეთ ამ გამოფენაში სრული Kავკასიის ნაწილი შევადგინოთ, ასე რომ იმას შეეძლოს ცხადათ წარმოადგინოს ჩვენის მეურნეობის და ხელოსნობის მდგომარეობა.

---

Tფილისის გუბერნიის მმართველობის უწყებაში ოკტომბრის თვეში 1865-ს წლისა განწესდებიან: Tიანეთის მაზრის მმართველობის მთარგმნელი, იუნკერი Bრიგოლ Aსლამაზოვი პისმოვოდიტელათ ამავე მმართველობისა: იმის მაგიერ მთარგმნელათ მწერალი Bიორგი Bოჯიშვილი; სამსახურიდგან გადამდგარი გუბერნსკი სეკრეტარი Bიორგი Kალუბანსკი კამისარის თანაშემწეთ Tფილისის მესამე ნაწილში; შტატს გარეთ მყოფი ინტენდანტის მმართველობაში, ნადვორნი სოვეტნიკი Pარენაგო შტატს გარეთ Tფილისის გუბერნიის მმართველობაში, რომელსაც Bორის უჩასტკის გამგეობა მიენდობა; Tფილისის მესამე ნაწილის კამისარის თანაშემწე გუბერნსკი სეკრეტარი Mოისეევი კვარტალის ნადზირატლათ Tფილისის 1-ს ნაწილში.

Dაითხოვებიან სამსახურიდამ და შტატს გარეთ შეირიცხებიან: Bორის უჩასტკის მდივანბეგი კოლლეჟსკი სეკრეტარი Sოლომონ Kვალიაშვილი Bორის უეზდის მმართველობაში; Bორის უეზდის მმართველობაში სეკრეტრის თანამდებობის აღმასრულებელი კოლლეჟსკი სეკრეტარი Dიმიტრი Kვალიაშვილი Tფილისის გუბერნიის მმართველობაში. Tანახმათ თხოვნისა სამსახურიდამ დაითხოვებიან: Tფილისის 1 ნაწილის კამისარის თანაშემწე აზნაური Kობიაშვილი; Sურამის უჩასტკის მდივანბეგის თანაშემწე კოლლეჟსკი სეკრეტარი Bექან Tატიშვილი.

Sიკვდილისაგამო სიიდამ გამოირიცხებიან: პისმოვოდიტელი Tიანეთის მაზრის მმართველობისა ტიტულიარნი სოვეტნიკი Bეგალოვი.

1865 წ. ნოემბრის თვეში განწესდებიან Tფილისის უეზდის სამსჯავროს სტოლნაჩალიკის თანაშემწე Iგნატიევი—სტოლნაჩალიკათ იმავე სამსჯავროში; Tფილისის უეზდის სამსჯავროს სტოლნაჩალნიკის თანაშემწე Xერხეულიძე—პროტოკოლისტათ იმავე სამსჯავროში.

1865 წელს დეკემბრის თვეში განწესდებიან: Tფილისის გუბერნიის მმართველობის ხაზინადარი ტიტულიარნი სოვეტნიკი Eნიკოლოფოვი უმცროს ჩინოვნიკათ განსაკუთრებითის მინდობილობისა გუბერნატორთან.

Tანახმათ თხოვნისა თანამდებობიდამ დაითხოვებიან და შტატს გარეთ შეირიცხებიან: უმცროსი ჩინოვნიკი განსაკუთრებითის მინდობილებისა Tფილისის გუბერნატორთან Aლოიზ Mიზანდარი და შეირიცხება გუბერნიის მმართველობაში შტატსგარეთ.

---

## პოლიტიკა.

### ანგლია.

12 მარტს Aნგლიის ქვემო-პალატის ყრილობაში ხაზინის კანცლერმა უ. Bლადსტონმა წარმოადგინა ბილლი (*) პარლამენტის რეფორმაზედ. Aხლა რომ კანონები მოქმედებს იმათის ძალით ამორჩევითი უფლება ეკუთვნის ყველა მოქალაქეებს, რომელნიც 21 წელს გადასულნი არიან და აქვთ შემოსავალი 10 გირვანქა სტერლინგი (*) (70 მანეთამდე); საგრაფოებში კი—ყველა მიწის მეპატრონეებს და იმ ფერმერებს, რომელნიც კანტრაკტით არიან შეკრულნი 21 წლიდამ 60 წლამდე და 50 გირვანქას სტერლინგს მიწის ქირას აძლევენ მეპატრონეებს. Aხალი ბილლი ბევრათ სცვლის ამ დებულებას: იმისის ძალით ამორჩევითი უფლება უნდა მიეცეს მოქალაქეებს, რომელთაც 7 გირვ. სტერლინგი სახლის გადასახადი შეაქვთ ხაზინაში; 2)—ყველას, ვინც სახლში 10 გირვანქაზედ ნაკლებს ქირას არ აძლევს, ან ვისაც უჭირავს მებელით გაწყობილი ოთახები 20 გირვანქისა წელიწადში. Aმ ახალის ბილლით საგრაფოებში ცენზმა (**) დაიწია 50 სტერლინგიდამ 14 მდე. Aქედამ სჩანს, რომ ამომრჩევლების რიცხვი უნდა გამრავლდეს 400,000 კაცამდე.

Aმ ბილლის წარმოდგენის დროს უ. Bლადსტონმა წარმოსთქვა: „Iქნება ზოგმა იფიქროს, რომ ჩვენ ბევრს ვაძლევთ, და სხვებმა კი თქვან, ძალიან ცოტასაო. Aმ უკანასკნელებს ვეტყვით, რომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ საზოგადოების ხმაზედ, რომელიც მოითხოვს თან-და-თანს ცვლილებას და რომელსაც ფიქრშიაც არა აქვს, რომ ძირი—ცვლილება მოახდინოს ახლანდელს სახელმწიფო დაწყობილებაში. Aმასთანავე მართალიც რომ იყოს ის აზრი, ვითომც მუშა ხალხი გულმოგახსნილია და კეთილ-სვინიდისიანათ ასრულებს თავისს მოვალეობას, სასაშიშრო იქნება მაინც, რომ იმათ ყოველ-გვარი საპოლიტიკო უფლება მიეცეს. Vინც გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ბევრს ვაძლევთ, იმათ ვეტყვი: არა მგონია, რომ ამ საყვედურს საფუძველი ჰქონდეს. Mიეცით ხალხს ეს უფლება და ამითი აგრძნობინეთ, რომ ჩვენ იმისთვის ვზრუნავთ. Mაშინ იმისთვის კონსტიტუცია უფრო ძვირფასი შეიქმნება. Dარწმუნებულნი იყავით, რომ ამ შემთხვევაში ხალხი უფრო გულსმოდგინებით მხარს მისცემს ტახტსა და სჯულსა. Rა ძალასაც თქვენ ამითი მოიპოვებთ, ის ძალა ოქროზედ და ვერცხლზედ უფრო საიმედო იქნება; ის ჯარზედ და ფლოტზედ უკეთ დაიცავს ჩვენს მხარეს.“

---

### იტალია.

Bარიბალდის აზრი პოლიტიკაზედ. Sოტლანდიელი Mეკ-Tირი ამ ცოტას ხანში Bარიბალდისთან იყო Kაპრერის კუნძულზედ, და იმან გადმოგვცა ამ შესანიშნავის იტალიელის პატრიოტის აზრი Eვროპის პოლიტიკაზედ.

Aხლა Iტალიელები ფიქრობენ თითქმის მარტო Rომიდამ Fრანცუზის ჯარის გამოყვანაზედ. Bარიბალდიმ გულ-ახდით უთხრა Mეკ-Tირს: მე არა მჯერა, რომ ორის წლის ვადის გავლის შემდეგ, რომელიც დანიშნულია სეკტემბრის კონვენციით (შეკრულობა) ფრანცუზებმა რომს თავი დაანებონ. Fრანცუზები მოიგონებენ იეზუიტურს მიზეზს, რომ რომში დარჩნენ. Bარიბალდის სიტყვით თვით კონვენცია Iტალიის ღალატი არის. Tახტის გადატანა Tურინიდამ Fლორენციაში არისო დიდი პოლიტიკური შეცდომილება, რომელიც მოხდა Nაპოლეონის ბოროტის რჩევით, რადგანაც ამ საქმეში ის თავისს სარგებლობას ეძებსო. Bარიბალდი რაცხს Nაპოლეონს Iტალიის ნამტრონი არის, ...

---

ჟურნალებს და სამეცნიერო საზოგადოებას ატყობინებს სხვა და სხვა ამბებს.

(**) Eკსპონენტს იმ კაცს უწოდებენ, რომელიც გამოფენაში ნივთს წარმოადგენს.

(*) Bილლი არის ანგლიური სიტყვა და იხმარება მხოლოდ Aნგლიაში და Aმერიკის შტატებში. Iს ნიშნავს სჯულის პროექტს, რომელსაც წარუდგენენ დასამტკიცებლათ პარლამენტს. Yოველსავე ბილლს აქ წაკითხვენ და განიხილვენ სამჯერ. Tუ ბილლს მიიღებს ორივე პალატა და დაამტკიცებს კაროლევა, მაშინ იმას მიეცემა სჯულის ძალა და ეწოდება პარლამენტის აქტი ანუ სახელმწიფო სტატუტი. Bილლი, რომელიც ახლა Bლადსტონმა შეიტანა პარლამენტში და რომელიც შეეხება დაბალის ხალხის საპოლიტიკო უფლების გავრცელებას, უწინაც რამდენჯერმე იყო პარლამენტის განხილვაში, მაგრამ არც ერთხელ არ მიუღიათ. Mიიღებენ თუ არა ახლა მაინც, მალე შევიტყობთ.

(*) Bირვანქა სტერლინგი-liver sterling, არის ოქროს მანეთი, რომლის ფასიც უდრის ფრანცუზულს 25 ფრანკს, რუსულს 6-ს რუბლს და 25 კაპეიკს. Sტერლინგი შეიცავს 20 შილლინგს (ვერცხლის მანეთი, თითქმის 32 კაპ.), შილინგი-12 პენსსა. (Pენსი შავი ფულია და იმაშია $2^1/_2$ კაპეიკი).

(**) Cენზზედ ხშირათ იქნება საუბარი „Dროებაში“, ამისთვის ის უნდა განვმარტოთ. Cენზი წარმოსდგა ლათინურის სიტყვიდამ census, რომელიც ნიშნავდა ქონების დაფასებას. Eს სიტყვა მიღებული აქვს უმეტესს ნაწილს კონსტიტუციურის მმართებლობისას Eვროპაში და იმის გარეთ. Kონსტიტუციის ძალით ხალხი მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფოს მართვაში თავისის წარმომადგინებლების ანუ დეპუტატების გაგზავნით პარლამენტში. Mაგრამ რომელს უწყებას ანუ რამოდენა ხალხის ნაწილსა აქვს ეს უფლება, ამას უჩვენებს ცენზი. Mხოლოთ ისინი ამოირჩევენ დეპუტატებს და დეპუტატობა იმას შეუძლიან, ვინც ან მამულის პატრონი არის, ან ვისაც ფულის შემოსავალი აქვს. Iმ ზომას მამულისას და ფულის შემოსავლისას, რომელსაც სჯული მოითხოვს, ჰქვიან ცენზი. Aნგლიაში ახლანდელი ცენზი დიდათ და უსამართლოთ მიაჩნიათ მოწინავე პირებს და თვით დაბალს ხალხს, და ამისთვის ისინი ითხოვენ, რომ ეს ცენზი შემცირდეს; ზოგს სურს სრულებით გაუქმდეს ცენზი და იმის მაგიერ ის წესი დაიდვას, რომელიც არის Fრანციაში და Sეერთებულს Aმერიკის შტატებში და რომელსაც ეწოდება საზოგადო ამორჩევა (suffrage universel), რადგანაც აქ თვითოეულს უფლება აქვს კონსტიტუციის ძალით დეპუტატიც ამოირჩიოს და დეპუტატათაც დაინიშნოს სჯულის დამდებს კრებაში ან კონგრესში.

---

საკუთრებათ მიაჩნიათ, მაგრამ ეს საკუთრება ოჯახის მმართველია და იმას ფასიც აქვს: დედა-კაცს აქ ყიდულობენ. Rადგანაც აღმოსავლეთში დედა-კაცი სავაჭრო საქონელია, რომელიც უნდა გაისყიდოს, ამისთვის უეჭველია, ვისაც მომატებული შეძლება აქვს, ის ამ ნაირს ნივთს უფრო ბევრს მოიპოვებს და აი აქედამაც უნდა წარმომდგარ იყო მრავალცოლიანობა. Bანათლებულს საბერძნეთში და რომში ქალი უფრო პატივცემული იყო. Aღმოსავლეთსავით იქ დედა-კაცს არა ყიდდნენ, და არც ითვლებოდა ისა მამა-კაცის მონათ, თუმცა იმავე მამა-კაცის ხელში იყო სრულებით.

Qრისტიანობამ თავისის ღვთიურის აზრებით იმ დროში ძირი-ცვლილება ვერ მოახდინა დედა-კაცის შესახებ. რომის განათლებას არ შეეძლო, რომ საქრისტიანო აზრებზედ გავლენა არ ჰქონოდა, როდესაც ეს აზრები ხალხში ვრცელდებოდნენ. Aმ მიზეზისა გამო ქრისტიანობამ ვერ შეიძლო დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესობა. Aმას ჩვენ ახლანდელს დროშიაც ნათლათ ვხედავთ. Çვენში დედა-კაცი უწინდელათ ბევრს უფლებას არის მოკლებული. Iს უწინდელათ არის მამა-კაცის დამოკიდებულების ქვეშ, მაშინ როდესაც ეს დამოკიდებულება იმისთვის სრულიად საჭირო არ არის.

Mწერლები, რომელნიც საზოგადო მონებისგან დედა-კაცის განთავისუფლებას ეწინააღმდეგებიან, ორ გვარს საბუთებს წარმოადგენენ. Eრთი საბუთი იმას შეიცავს, ვითომც დედა-კაცს თავისი შესაფერი თავისუფლება ქონდეს მინიჭებული; დედა-კაცის დანიშნულება, იმათის აზრით, ოჯახობა არის და აქ ის სრული თავისუფალიაო. Mაგრამ Dორას აზრით ოჯახის მოვლის გარდა ქალს კიდევ ბევრი თავისუფალი დრო დარჩება. Iმას უნდა ნება მიეცეს, რომ დანაშთენი თავისუფალი დრო საზოგადოების სასარგებლოთ მოიხმაროს, როგორათაც საზოგადოების წევრმა. Eრთის სიტყვით, ვისაც ჰგონია, რომ დედა-კაცი მარტო კარგი მეოჯახე უნდა იყოსო, ისინი ძალიან სტყუიან, ამისთვის რომ შეიძლება კაცი კარგი ოჯახის მომვლელი იყოს და ამასთან კარგი ექიმიც, კარგი ვაჭარიც, კარგი ვექილიც, კარგი ისტორიკოსიც, კარგი სახელმწიფო მოხელეც და სხვ. Oჯახობა, როგორც მამა-კაცს, აგრეთვე დედა-კაცს ვერ დაუშლის ისტორიკოსობას და მრავალს სხვა რიგს სამოქალაქო სამსახურსა.

Mეორე საბუთი დედა-კაცის წინააღმდეგ ამ აზრს წარმოადგენს, ვითომც იმისი ნიჭიერება და მამა-კაცისა შორის შორს იყოს; მაგრამ ამ გვარი აზრიც Dორას ფიქრით სრულიათ უსაფუძვლოა. Dორა Dისტრია აიღებს ისტორიას და იქ ცხადათ გვიჩვენებს, რომ სწავლაში, პოლიტიკაში და სარწმუნოების სფერაში გამოჩენილნი დედა-კაცები ყოფილან. Sესანიშნავია ერთი იტალიელი ქალი, რომელიც სხვათა შორის დედა-კაცის ნიჭიერების დასამტკიცებლათ მოჰყავს Dორას. Aმ დედა-კაცს რქმევია Mარიამ Bაეტანა Aგნეზი. Cხრა წლისა რომ შექნილა იმას დაუწერია ლათინური თხზულება, რომელიც ნათლათ ამტკიცებს, რომ დედა-კაცსაც შეუძლიან ამ გვარი შრომა. Tერთმეტის წლისას ამ ქალს ბერძნული ესმოდა და ოცდა ათის წლისა ლათინურიდამ თარგმნიდა ბერძნულათ, იტალიურათ, ფრანცუზულათ და ნემეცურათ. Sემდეგ იმან კიდევ ისპანიური და ებრაული ენა ისწავლა. Oცის წლისა იყო მხოლოთ, როდესაც Pაპამ Bენედიკტმა XIV ის მიიწვია პროფესორათ მათემატიკის კათედრაზედ Bოლონის უნივერსიტეტში. Eს პატივცემული ადგილი ამ დედა-კაცმა დაიმსახურა თავისის შესანიშნავის მათემატიკურის თხზულებით, რომელიც იმ დროს სწავლულებში ძალიან ხმა გავარდნილი იყო. Lაურა Bასსიც თითქმის ისე შესანიშნავია ფილოსოფიაში და ფიზიკაში, როგორც Aგნეზი. Rოდესაც Pრუსიაში თავისუფლებისთვის ომიანობა მოხდა, მაშინ მრავალმა დედა-კაცმა თავი გამოიჩინა მამულის სიყვარულით და სხვა მოღვაწეობითა. Sხვა და სხვა სწავლის ნაწილშიაც ბევრი სახელ გათქმული დედა-კაცები არიან, მაგალ. ფილოსოფიაში Mარკიზ-დე-შეტელე, Vოლტერის მეგობარი, ეთნოგრაფიაში ანუ ხალხის აღწერაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში Sოფიო Çერმენი, Iდა Fეიფერი და მისსი შტრიკლანდი, ასტრონომიაში Zომერვილი და მრავალი სხვ.

Eს დედა-კაცები ყოველს საბუთზედ უფრო ნამდვილათ გვიჩვენებენ, თუ რამდენათ უსაფუძვლოა იმ კაცების აზრები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან დედა-კაცის მამა-კაცთან გათანასწორებასა, და ამბობენ, ვითომც მამა-კაცის ნიჭიერება ბევრათ მაღლა იდგეს დედა-კაცის ნიჭიერებაზედ. Aხლა Eვროპის საზოგადოებაში დაწინავებული პირები უფრო იმ აზრზედ არიან დამყარებულნი, რომ დედა-კაცი განთავისუფლდეს მამა-კაცის ნივთიერებითის დამოკიდებულებისაგან და ის უფლება მიენიჭოს იმათ, რომელიც მამა-კაცს აქვს. Rა საკვირველია, ამ გვარი თავისუფლება დედა-კაცს მიანიჭებს ნამდვილს კაცურს ღირსებას და ამასთან იმის დაჩაგრულს მდგომარეობასაც აღადგენს.

დეილს მფლობელათ და მაცდურათ ვიკტორ-ემანუელისა, რომელმაც ველარ შეიძლო თავის დაღწევა იმ მახიდამ, რომელშიაც გაება. იტალიის მინისტრები იქცეოდნენო, როგორც უცხო ქვეყნელების ლაქიები. გარიბალდი განსაკუთრებით გენერალს ლამარმორას უწყრება. ამ კაცის მინისტრათ დანიშვნა შემდეგ საზიზღარის სისხლის-ღვრისა ტურინში დიდი დანაშაულობა არისო; კაროლი ვიკტორ-ემანუელი კი არ ნიშნავს მინისტრებს, იმათ ირჩევენო და ნიშვნენო ტუილრის სასახლეში. გარიბალდის საკვირლათ სძულს ნაპოლეონი. იმან ფრანცუზები ნეგრებათ გადააქცია. იმ დროს, როდესაც რუს-ხელმწიფემ 23 მილიონი მონა გაანთავისუფლაო, ნაპოლეონმა 35 მილიონი თავისუფალი კაცი მონებათ გახადაო.

მეკ-ტირმა საუბარი ჩამოაგდო ვენეციაზედ და ამეზედ პასუხი მიიღო გარიბალდისაგან: ვენეციის განთავისუფლება ავსტრიის ულიდამ ძნელია, მაგრამ შესაძლებელი კი არისო, თუ ნაპოლეონმა არ დაგვიშალაო.

შესახებ ახლანდელის შლეზვიგ-ღოლშტეინის საქმის მდგომარეობისა გარიბალდიმ სთქვა: „დანიელები პირველი დამნაშავენი არიან, რადგანაც ხალხის სარგებლობის წინააღმდეგათ იქცეოდნენო შლეზვიგ-ღოლშტეინში.“ მაგრამ ამასთანავე იმან გაჰკიცხა გერმანიის დიდის სახელმწიფოების მოქმედება.

ბოლოს მეკ-ტირმა დაიწყო ლაპარაკი ამერიკის საქმეებზედ. შოტლანდიელს უნდოდა გარიბალდისთვის დაემტკიცებინა, რომ ის თავის აზრების წინაღმდეგი შეიქმნება, თუ არ აღიარა, რომ სამხრეთს შტატებს აშლის უფლება ჰქონდათ. მეკ-ტირის აზრით, სამხრეთის შტატებისათვის რომ კავშირის დარღვევის ნება მიეცათ, მონაობა უთუოთ მოისპობოდაო(?!) გარიბალდი ამაზედ არ დაეთანხმა. იმან სთქვა, რომ ამერიკის ერთობა და წარმატება ძალიან სასურველი არისო თავისუფლებისათვის.

გარიბალდიმ საუბარი გაათავა შემდგომის სიტყვებით: „არა ვგონებ, რომ ახლა მე შევიძლოო უწინდელათ დიდის შრომის ატანა ლაშქრობაში. მე არ შემიძლიან დიდხანს სიარული, ცხენზედ ჯდომა და საზოგადოთ ძალდატანებული მოძრაობა მღალავსო. ზღვაზედ იქნება კიდევ რისთვისმე გამოვდგეო.“

## დუნაის სამთავროები.

მოლდავიაში საშინელი სიმშილობა არის. მოლდავიის გარდა იმის მოსამზღვრე ბუკოვინაში და აღმოსავლეთის კერძო გალიციაშიაც ჩნდება სიმშილობა. 6 მარტს იწერებიან იასსიდამ (მოლდავიის თავი ქალაქია) ვითომც მოლდავიის დიდკაცობა თანახმა იყოს, მოლდავიას და ვალახიას შუა კავშირის გაუწყვეტლობაზედ, თუ რომ უცხო ქვეყნის პრინცს ვისმეს ამოირჩევენო რუმინიის ტახტზედ. პორტამ რუსჩუკში 8000 კაცი ჯარი შეაგროვა და დღითი-დღე ამ ძალას კიდევ უმატებს. ეს ქალაქი მდებარებს დუნაის პირზედ, ვალახიის ქალაქის ჟურჟეოს პირდაპირ და არის ბოლგარიის ფაშის სამყოფი ადგილი; რუმინიის მთავრობა დუნაის ნაპირებს ჯარით ამაგრებს, რომ ოსმალები იმის სამზღვრებს უეცრად არ დაეცნენ. გარდა ამისა ამბობენ, ვითომც რუმინიის სამთავროს სერბიასთან კავშირი შეეკრას. აქამდის საზოგადო მშვიდობიანობა არსად დარღვეულა რუმინიაში. მმართებლობამ მაზრების უწინდელი მმართველები სამსახურიდგან გადააყენა და იმათი თანამდებობა სანდო კაცებს მისცა.

პარიჟი. 3, (15) მარტს. მონიტორში, ფრანცუზული გაზეთი, არის გამოცხადებული, დუნაის სამთავროების საქმეებისთვის, რომ კონფერენცია იყო პარიჟში დანიშნული, 10 მარტიდამ (26 თებერვლიდამ) დაიწყოსო ყრილობა. 1859 წლის 6 სეკტემბრის პროტოკოლში და 1861 წლის დეკემბრის სულთანის ფირმანში თავდარიგი დაიჭირეს, რომ 1858 წლის კონვენციის ძირი-პირობაები არ დარღვეულიყო პროტოკოლში და ფირმანში ისიც კი იყო გამოცხადებული, თუ რა განკარგულება უნდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, როდესაც რუმინია უმთავროდ დარჩებოდა; რაც ამ ცოტა ხანში მოხდა, იქ ამ გვარ გარემოებაზედ შესაფერი განკარგულება არ არის გამოცხადებული. ფირმანში კი ნაჩვენებია ზოგიერთი პირობაები, რომელიც იმ დროში საჭიროდ შერაცხეს წარმომადგინელებმა ანგლიისამ, ფრანციისამ, რუსეთისამ, იტალიისამ, და პრუსიისამ. კონსტანტინეპოლში შემდეგ საყოველთაოდ გამოაცხადეს ეს პირობაები. იმათი აზრი იყო მფარველის სახელმწიფოების ელჩებისთვის ეკითხათ სულთანს რომ დროებით ხატრი დაუჭერია ზოგიერთ საქმეში დუნაის სამთავროებისთვის, სამუდამო უნდა იყოს თუ არაო. მანამდის ახლანდელს შემთხვევაზედ მფარველი სახელმწიფოები რასმეს იტყოდნენ, წინათ ერთი ერთმანეთში და პორტასთან უნდა მორიგებულიყვნენ. იგივე კონფერენცია განიხილავს მდინარე დუნაიაში ნავების მოსიარულობაზედ რომ პირობა არის შეკრული.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ ე ბ ი,

### პეტერბურგში მიღებული.

პარიჟი, 10-ს (22) მარტს. დღეს სჯულის-დამდების კრების დეპუტაციამ იმპერატორს ადრესი მიართვა. იმპერატორმა თავისს პასუხში წარმოსთქვა, რომ ფრანცია თავისუფლებას თხოულობსო მმართებლობის აზრის და მოქმედების გამოსაკვლევათ; იმას არ უნდაო იმგვარი თავ-აშვებული თავისუფლება, რომელიც მმართებლობას მირს უთხრის. ნაპოლეონმა თავისი პასუხი შემდგომის სიტყვებით გაათავა: ,,თხუთმეტის წლის წინათ, როდესაც მე მხოლოთ სახელით ვიყავი სახელმწიფოს თავი და არ ვსარგებლობდი, არც მმართებლობის ნამდვილის უფლებით და არც პალატების შემწეობით, მე გავბედე და გამოვაცხადე, რომ ფრანცია ჩემს ხელში არ დაიღუპებოდა, მე აღვასრულე ჩემი სიტყვა. ფრანცია წინ მიდის და იზდება. ჩვენი შთამომავლობა განავრძობს ამ შრომას; ამის იმედს გვაძლევს უმაღლესის სახელმწიფოს დაწყობილების შემწეობა, ჯარის ერთგულება, გონიერის კაცების პატრიოტობა და ყოვლის—შემძლებლის მფარველობა.‘‘

კონსტანტინოპოლიდამ 5 (17) მარტიდამ იწერებიან: ოსმალის ელჩმა პარიჟში ბმანება მიიღო, რომ პროტესტი გამოაცხადოს კონფერენციის განაჩენზედ და თვით კონფერენციიდამაც გამოვიდეს, თუ ვინიცობაა ამ განაჩენმა პორტის უფლება დაარღვია, როგორათაც ეს მოხდა პარიჟის ტრაკტატის დროს 1858 წელს.

ვენიდამ იწერებიან 11 (23) მარტს, რომ ავსტრიის და პრუსიის საზღვარზედ, სტრუხნოს ქალაქთან ჯარისათვის ბანაკს აკეთებენო. კრაკოვის ციხის (ავსტრიის იმპერიაში) გასამაგრებლათ დანიშნულია 4,000 მუშა და ერთი მილლიონი გულდენი (*)

(*) გულდენი არის ავსტრიული მანეთი, რომელიც ედრება 61 კაპეიკს.

პარიჟი, 11 (23) მარტს. გაზეთში France სწერენ: ჯერ იმისთანა არა მომხდარა რა, რომ პრუსიის მხრით ომის დაწყების სურვილს ამტკიცებდეს.

ღამბურგი (გერმანიაში) 12 (24) მარტს. ვენიდამ სწერენ ერთს ღამბურგის გაზეთს: იმპერატორის ბმანებით, 9 (20) მარტს, ავსტრიაში თავი დაანებესო ომიანობისთვის მზადებას.

## სალიტერატურო ნაწილი.

### ისტორიული მოძრაობა განათლებისა.

(მოკლე განხილვა.)

ბუნების გამომეძიებელნი სწერენ, ვითომც ასი ათასამდე წელს გაევლოს შემდეგ იმისა, რაც კაცობრიობა არსებობს. გასაოცარია ჩვენთვის ეს რიცხვი, მაგრამ ის რომ იმ დროს შევადაროთ, რომელიც თვით დედა-მიწის დაწყებითგან გასულა, მაშინ ჩვენს განცვიფრებას ადგილი აღარ ექნება. ეს დრო შეიცავს მრავალს მილლიონს წელს. დედა-მიწას და ყოველსავე, რასაც ის აღმოგვიჩენს, მრავალ-გვარი ცვლილება გამოუცდია, მაგრამ შეუნიშნავის და ხანგრძლივის სიწყნარით. ეს ცვლილება არას დროს არ შემდგარა და არც შესდგება. მთელი დედა-მიწა თავ და პირველათ სხვა არა ყოფილა რა, როგორათაც გროვა ორთქლის მსგავსის მატერიისა, რომელიც დროს განმავლობაში შეჯგუფებულა და შენივთებულა; ხმელეთს, ოკეანეს და ატმოსფერას თავ-თავისი ადგილი დაუჭერია; ჯერ დაბალის მოდგმის მცენარენი გამოჩენილან, მასუკან მცენარენი უმაღლესის მოდგმისა; დაბადებულან სხვა და სხვა დროს პირუტყვები სხვა და სხვა ჯიშისა. უკანასკნელს დროს წარმომდგარა ადამიანი; იმისი აგებულებაც ცოტ-ცოტათ სისრულეში შესრულა დაბალის ტომიდამ უმაღლესს ტომამდე.

ყოველივე, რაც აქ ითქვა, მეცნიერებისაგან გამოკვლეულია და მიღებული. უეჭველია ისა, რომ ვიდრე ადამიანი წარმატებაში შევიდოდა, მრავალს ხანს გაუვლია. თავ და პირველათ ის პირუტყვებში ცოტათი გაერჩევა და სცხოვრებს იმათ მსგავსათ. შემდეგ ის ეჩვევა საზოგადოებით ცხოვრებას, მერმე დააწესებს სახელმწიფოებს, დასდებს საფუძველს სწავლისას, ხელოვნებისას, წინ მიდის ზნეობაში და ყოფა-ცხოვრებაში; ერთი რომელიმე ხალხი განათლების გზას დაადგება, მაგრამ რამდენისამე საუკუნის შემდეგ შესუსტდება, დაირღვევა და აღმოიფხვრება; აღყვავდება სხვა ხალხი, რომელსაც ისევ ის სვე მიელის; აგრეთვე მესამე, მეოთხე. ასე ყოფილა აქამომდე. რა იქნება შემდეგ, არ ვიცით. თუმცა ტომები და ხალხები დაიღუპნენ, მაგრამ რაც რომ იმათ გონების გახსნის სასარგებლოთ შეუძინებიათ, ის არ იღუპება. განათლება ერთისაგან მეორეზედ გადადის, მატულობს და ვრცელდება.

ჩვენ ამ სტატიაში წარმოვადგენთ განათლების მოძრაობას დაწყებიდგან ჩვენს დრომდე, ესე იგი, როგორი იყო ადამიანის პირველი ცხოვრება, როგორ გამოვიდა კაცობრიობა ველურის მდგომარეობიდამ, რა გვარათ შევიდა ის წარმატებაში, ვინ და სად დაიწყო განათლება, ვინ ვის გადასცა ისა, რა იყო მიზეზი ერთისა და მეორის ხალხის დამხობისა, რა მდგომარეობამდე მიუღწევია სწავლას და ყოფა-ცხოვრებას ჩვენს დროს. ვრცელია ეს საგანი; იმისი გამოხატვა დაწვრილებით ბევრს დროს მოითხოვს. გაზეთში ადგილი არა აქვს გძელს სტატიას და ამისთვის მოკლეთ უნდა განვიხილოთ ჩვენი საგანი. საკმაო იქნება, რომ „დროების“ მკითხველებს წარმოუდგინოთ რაც რომ უფრო შესანიშნავი არის განათლების ისტორიაში და რაც ახალის მეცნიერების გამოკვლევით ჩვენს დროში მიღებულია.

აქ საჭიროთ ვრაცხავთ ერთს შენიშვნას, როგორათაც ამ სტატიაში, აგრეთვე მთელს გაზეთში ხშირად იქნება საუბარი განათლებაზედ. განათლება, განათლებული მიეწერება გონება—გახსნილს, სწავლულს ანუ მეცნიერს კაცს თუ ხალხს, და არ წარმოადგენს სრულებით იმ აზრს, რომლისთვისაც ევროპაში არის მიღებული სიტყვა ცივილიზაცია. ცივილიზაცია ნიშნავს არა თუ მხოლოთ სწავლას და მეცნიერებას, არამედ მოქალაქობასაც და კეთილ-დღეობასაც, რომელსაც განათლებით მოიპოებს კაცი და მთელი ხალხი. ცივილიზაციას აქვს თავისი ისტორია: რა გვარათ იშვა ისა, როგორ იზდებოდა, რა დაბრკოლებას შეაწყდებოდა, რა რიგათ შეიშლიდა სწორე გზას, ახლა რა გზაზედა დგას. ამ სიტყვას შეუცვლელათ ითვისებს ყოველი ხალხი, რომელიც განათლებაში შედის. მაშა სადამე, ჩვენც ისე უნდა შევითვისოთ ისა, როგორათაც საკუთარი ჩვენი ლექსი.

### I

გონების გახსნას მოითხოვს თვით ადამიანის აგებულება. როგორათაც ჰაერი და საჭმელი არის საჭირო კაცისათვის, ისე საჭიროა ცოდნაცა. ბუნების საშოდამ გამოსულმა თითქმის არა იცის რა. ბუნებაში ყოველივე დამოკიდებულია იმ კანონებზედ, რომელნიც ერთხელ დაუწესებია ღმერთსა და რომელთაც ბუნება ვერას გზით ვერ გადავა. ეს კანონები ველურს კაცს არ ესმის. იმისი გონება ვერ მოიაზრებს, რა რისგან არის და რა შედეგს დაბადებს. ის მხოლოთ ხედავს, ისმენს, ყნოსავს, გრძნობს. იმის თვალში რაღაც ცეცხლის მზგავსი ბრწყინვალე ბურთი ყოველ დღე ამოდის ცის სამყაროზედ, უვლის იმის მამულს, რომელიც იმის აზრით თითქმის მთელს ქვეყანას შეიცავს, მასუკან ჩადის და ქრება; შემდეგ დედა-მიწას მოეფინება სიბნელე და მეორეს დილას ეს უცნაური ბურთი ისევ ამობრწყინდება. ღამით ანათებენ სხვა რიგი ბურთი და აქა-იქ ცაში დაფანტული წერტილები. წელიწადი ოთხ-გვარათ იცვლება: ხან თბილა, ხან ცივა. მცენარები აღმოცენდებიან, იზდებიან, ჰკნდებიან, ახლდებიან; სხვა და სხვა მხეცები ერთი ერთმანეთს სჭამენ და თვით ადამიანსაცა მტრობენ. ყოველსავე ამას პირველი კაცი ჯერ დაკვირვებით შესცქერის, როგორათაც ყმაწვილი, შემდეგ ეჩვევა. სხვა არაფერი. ის იმყოფება მთელის ბუნების შიშს ქვეშ. ყოველ-ფერში ის ხედავს რაღასაც დაფარულს მრისხანეს ძალას: მზისა და მთვარის დაბნელებაში, კომეტის ანუ კუდიანის ვარსკვლავის გამოჩენაში, მიწის ძვრაში, გვალვაში, ჭექა-ქუხილში, ქარიშხალში. ამ გრძნობით შეცული ის აღიარებს ღმერთად ყოველსავე ძალას, რომელიც იმას შეაძრწუნებს. ის ისე სუსტი არის, რომ თავისს შესამატებლად ბუნებიდგან სარგებლობას ვერ ახერხებს. ის პირუტყვებში განსხვავდება მხოლოთ სიტყვით; დანაშთენში კი იმათ მიემსგავსება; ეს არის მიზეზი, რომ იმას უწოდებთ ველურს კაცათ. ველური კაცი ატარებს თავისს ცხოვრებას თითქმის სოროებში, ტანს შეიხვევს ან მხეცის ტყავით, ან დატანტალებს ტიტველი, ხშირათ იმშევს, სჭამს რაც შეხვდება ან რასაც იშოვნის, ხან და ხან არ ზოგავს ადამიანის მძორსაც. სნეულება იმის აზრით არის ღმერთებისაგან მოვლენილი რისხვა და არა თვით იმისგან აგებულობის წესის დარღვევა, ამისთვისაც ღონისძიება ვერა მოუხმარებია რა იმას თავისს სნეულებაში. როგორათაც თვითონ არის დაჩაგრული გარეშე ბუნებისაგან, აგრეთვე ის სჩაგრავს იმათ, ვისზედაც იმას უფლება აქვს: ცოლს, შვილებს ის უყურებს როგორათაც საკუთარს ნივთებს; თანასწორება იმათ შორის შეუძლებელი არის. ისინი არიან დაბადებულნი სახლის უფროსის ქეიფის დასაკმაყოფილებლად. ყოველი უცხო-ტომი იმის თვალში არის მტერი, და ამისთვისაც მთელი

იმისი ცხოვრება იწყება და სრულდება შეუწყვეტელს ბრძოლაში.

ასეთი არის კაცის მდგომარეობა მაშინ, როდესაც ის ახლათ გამოსულა ბუნების საშოდამ. შემდეგ, დროს განმავალობაში ის ეჩვევა მთა-ბარობას თავისის ცხვრით და ძროხით, მასუკან შეუდგება დედა-მიწის შემუშავებას და საზოგადოებაში ცხოვრებასა. პირველმა მდგომარეობამ გავლო რამდენიმე ასი საუკუნე. თუმცა ისტორიას არ ახსოვს ძველის დროს ველურის კაცის ყოფა-ცხოვრება, მაგრამ ეს გამოხატულება უეჭველია: სხვა და სხვა ამისი შეურყეველი საბუთები აღმოაჩინა აწინდელმა მეცნიერებამ; ამასვე გვიმტკიცებს თვით შედარება: ამ გვარს მდგომარეობაში ვხედავთ ახლაც ველურს ტომებს ამერიკაში, აფრიკაში და ავსტრალიაში.

პირველს ცივილიზაციის დასაწყისს ვპოულობთ აფრიკაში და აზიაში, ესე იგი, ეგვიპეტში, ბაბილონში, ასურეთში, ფინიკიაში, კართაგენში და სხ. აქ პირველათ დასდვეს საფუძველი სწავლისა და ხელოვნებისა, შემოიღეს ან-ბანი და წელთ-აღწერა, რომელშიაც შემოიტანდნენ სხვა და სხვა შემთხვევაებს და მეფეების მოქმედებაებს, აქ მოიგონეს სხვა და სხვა ხელოვნება და სასარგებლო ნივთები, დაამყარეს წესი საზოგადოებისა ანუ სახელმწიფოს მართვისა.—რა საკვირველია, ამ ქვეყნების მცხოვრებნი ჯერ ღარიბნი უნდა ყოფილიყვნენ ცოდნით. სხვა და სხვა გარეშე-ტომებზედ იმათ ან სრულებით არა იცოდნენ რა, ან ძალიან ცოტა იცოდნენ. რომელი ადამიანიც სწავლით დაბლა დგას, იმას მხოლოთ თავისი თავი მიაჩნია დიდათ, სხვებს ის უმზევის თავის თავზედ უმცირესათ. ასე იყო ზოგიერთს ამ ქვეყნებშიაცა. ეგვიპტელნი, ბაბილონელნი, ასურელნი და სხვანი სწორეთ ამ აზრისანი იყვნენ. უცხო-ტომები, იმათის გამოხატულებით, იმათზედ დაბლა იდგნენ ნიჭიერებით, შთამომავლობით, ყოვლის-ფრით. უკანასკნელნი იყვნენ დაბადებულნი, რომ ყოველივე ამათგან შეძინებული იმათ სასარგებლოთ გადაეცათ და თვითონაც მთელი თავიანთი ცხოვრება იმათ მონებაში გაეტარებინათ. ყოველივე კაცობრიული დამოკიდებულება გარეშე-ტომებთან თითქმის შეუძლებელი იყო იმათთვის. უპირველესი და ქების ღირსი მოქმედება იმათის ფიქრით იყო ლაშქრობა. როდესაც ისინი დაიპყრობდნენ რომელსამე ხალხსა ან ხშირათ დასტყვევნიდნენ იმათ და აქა-იქ დაჰფანტავდნენ, ან სრულებით ამოსწყვეტდნენ.—სარწმუნოება იმათი, როგორათაც ველურის კაცებისა იყო წარმართება ანუ მრავალ-ღმერთობა. ისინი თაყვანსა სცემდნენ-ზოგნი ზეციურს მნათობებს, ზოგნი-ქვეყნიურს ნივთებს და ცხოველებს. იმათში განსხვავდებოდა ერთათ-ერთი ხალხი, ებრაელნი, რომლებს შორისაც თავდა-პირველათვე დაწესდა ჭეშმარიტი ღვთის მსახურება, თუმცა ამათაც ხშირათ მიიზიდავდა კერპთ-მსახურება.

შინაურს ცხოვრებაში, ერთი ერთმანეთის დამოკიდებულებაში განათლებულთ აღმოსავლეთის ხალხთ იმ-გვარს ბედკრულს მდგომარეობაში ვპოულობთ, რომლისაგანაც ვერც შემდეგ განთავისუფლდა კაცობრიობა; მთელი ხალხი დაგლეჯილი იყო რამდენსამე ნაწილებათ, რომელთ შორისაც არა კავშირი არ იდვა, რა და რომელთაც უწოდებთ კასტებათ. კასტების თვისება იყო შემდეგი: თვითოეული ადამიანი საშვილის-შვილოთ დარჩებოდა იმ კასტაში, რომელშიაც დაიბადა; ღირსება არავის არ აძლევდა ნებას ერთის კასტიდამ მეორეში გადასვლისას; ნიჭი და სამსახური იყვნენ დაჩაგრულნი; ძალა, სიმდიდრე და ბძანებლობა ეკუთნოდათ პირველს კასტებს-მხედრებს და სმღვდელოთ; სიღარიბე და მონება იყო სვე დაბალის კასტებისა, რომელთაც შეადგენდა თითქმის მთელი ხალხი. ხალხი იყო პირუტყულს მდგომარეობაში. იმისი ღონე, იმისი ხელი სხვებისთვის იყვნენ და არა იმისთვის; იმისის შრომით და ნაწარმოებით იკვებებოდნენ და მდიდრდებოდნენ უმაღლესი კასტები. ხალხმა არ იცოდა, რა არის შესვენება: ის მოუძლურდებოდა დიდროვანის არხების გაყვანაში და გასაოცარის სივრცის ძეგლების შენობაში. ადამიანი მონებაში იყო დაბადებული და ყოველივე იმისი დამოკიდებულება მონება იყო; თვით იმისი სახლიც ასე იყო დაწესებული: სახლის-უფროსი ისე სჩაგრავდა თავის ცოლ-შვილს, როგორათაც თვითონ იყო დაჩაგრული სხვებისგან. იმას! ქონდა სრული უფლება ცოლ-შვილის გასყიდვისა, იმათის სიცოცხლისა და სიკვდილისა. სჯულს არა ჰქონდა ძალა ამ საქმეში გარევისა და არც ცსმოდა თუ ეს იმისი მოვალეობა იყო.

ამ გვარი ყოფა-ცხოვრება ხალხისა ბუნების წინაამდეგი საქმე არის და ყოველს უარის-ყოფას ბუნებითის წესისას დღეს თუ ხვალ იგივე დასჯის. ეს მიუცილებელი არის. ვერც ერთმა იმ ხალხთაგანმა, რომლების ცხოვრებაც ჩვენ გამოვხატეთ, ვერ აიცილა ეს სასჯელი. როგორათაც ერთი, აგრეთვე მეორე შემდეგში შესუსტდნენ, ჩაცვივდნენ სხვის მონებას ქვეშ და სრულებით ამოიფხვრნენ. რა საწყაულსაც თვითონ სხვებზედ ხმარობდნენ, ის საწყაული იმათზედ სხვებმა მოიხმარეს. იმათ სახსოვრათ, ანუ უკეთ ვსთქვათ, სასირცხვილოთ ძველის ცივილიზაციისა, დარჩნენ აქამომდე გასაოცარი ძეგლები ანუ ქვის შენობაები, რომელთაგანაც ზოგი მიწაშია ჩაფლული, ზოგი შეურყეველათ დგას ოთხის ანუ სამი-ათასის წლის განმავალობაში.—იმ დროდგან ჩვენ დრომდე მოაღწია სამმა ხალხმა: ინდოელებმა, სპარსებმა და ჩინელებმა. ესენი თავის დროს ჰყვავოდნენ, როგორათაც სხვანი აღმოსავლეთის ცივილიზაციის ხალხნი. მაგრამ ამდენის საუკუნის გავლაში თუ უკუ არა სდგნენ, წინ არ წასულან. იმათი წესი, იმათი შინაური ყოფა-ცხოვრება ისევ ისეთივეა, როგორათაც ეგვიპტელებისა, ბაბილონელებისა, და თუმცა საკვირველათ არიან ისინი გამრავლებულნი, მაგრამ ისე არიან მოუძლურებულნი, რომ ორას-მილიონზედ მეტი ინდოეთის ხალხი ოცი-ათასის ანგლიჩანებისაგან დამონებულია; შარშან-წინ მცირედს ანგლო-ფრანციულს ჯარს 300 მილიონი ჩინეთის ხალხი ვერ შეებრძოლა.

(შემდეგი იქნება).

## სხვა და სხვა ამბავი.

ამერიკის ქალების პეტიცია (თხოვნა), რომ იმათ მიენიჭოს პოლიტიკური უფლება. ამერიკის შეერთებულის შტატების კონგრესს უნდა განეხილა თხოვნა, რომელშიაც ამ ქვეყნის ქალებმა გამოაცხადეს თავიანთი სურვილი, რომ იმათაც მიეცეს კენჭის უფლება, როგორათაც ნეგრებს. ჩვენ არ ვიცით, ამბობს Journal de. St.-Pètersbourg, როგორ გათავდება ეს პეტიცია. როგორათაც ევროპაში, აგრეთვე შეერთებულს შტატებში, სახელმწიფო პირნი გულგრილათ უყურებენ დედა-კაცების პოლიტიკურს თავისუფლებას; მაგრამ ამერიკაში მოულოდნელი საქმეები მოხდება ხოლმე. თუ რომ ამერიკის მოქალაქეები დედაკაცების თხოვნას ყურადღებას მიაქცევენ, მხოლოთ ღმერთმა იცის, რა იმედს მიეცემიან ძველის ქვეყნის ქალები. აი ეს თხოვნა რას შეიცავს: „სენატს და პალატის წარმომადგენელებს! ქვემო-ხელის მომწერნი, შეერთებულის შტატების დედა-კაცები უპატივცემულესათ ითხოვენ გაუქმებას კონსტიტუციის დადებულებისას, რომელიც დედა-კაცებს აღუკრძალავს მონაწილეობის მიღებას კენჭის ყრაში. მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჩვენ, 15 მილლიონი სული, ვართ ქვეყნის-მოქმედნი, განათლებულნი მოქალაქენი, დაბადებულნი ვართ ამერიკაში, და შევადგენთ შეერთებულის შტატების ნახევარს ნაწილს; მაგრამ მარტო ჩვენ არა გვაქვს ხმის მიცემის უფლება.

„კონსტიტუციის ძალით ჩვენ თავისუფალ ხალხათ ვირიცხებით, მაშინ როდესაც სხვის განმგეობაში ვართ და ჩვენ კი ამაზედ არასა გვკითხვენ; გვართმევენ ხარჯს, რომელიც ჩვენ არ დაგვიმტკიცებია, დაგვსჯიან სჯულის დარღვევისათვის და ნებას კი არ გვაძლევენ, რომ ჩვენვე ამოვირჩიოთ ჩვენთვის მსაჯულები.

„უველა დროების მაგალითი, ჩვენის წინაპრების დეკლარაცია (განცხადება), მოქმედი სჯული და საშინელი რევოლუცია, რომელიც ამ ცოტას ხანში გამოვცადეთ, იმას გვიმტკიცებენ, რომ პირადი და ქონებითი უფლება მანამდისინ მტკიცეთ ვერ დამყარდებიან, ვიდრე თვითოეულს მოქალაქეს არ მიენიჭება ხმის მიცემის უფლება. ამ მიზეზით, როდესაც თქვენ განიხილავთ კონსტიტუციას და თანახმათ დროებისა და პროგრესის მოთხოვნილებისა პირადს უფლებას აძლევთ ოთხს მილლიონს განთავისუფლებულს მონებს, ჩვენ გთხოვთ ხმის მიცემის უფლება მოგვანიჭოთ ჩვენც, დედა-კაცებს, რომელნიც თვით-ნების მსხვერპლათ დარჩენილნი ვართ. რადგანაც ყოველი ნაკლულევანება რესპუბლიკის წესისა ხალხში უკმაყოფილებას უნდა აღძრავდეს და რადგანაც თქვენ კონსტიტუციით ვალდებულნი ხართ ყოველს შტატში რესპუბლიკის მმართველობა დაამყაროთ, ამისთვის სენატს და პარლამენტის წარმომადგენელებს ვსთხოვთ, ოჯახის მშვიდობიანობისათვის და გამგეობის დაწყობილობის გასამართივებლათ, მიანიჭოთ მომავალს დროში ხმის მიცემის უფლება ყველას, ვინც კი ხარჯს იხდის და არ შეხვიდეთ იმის გამოკითხვაში: ქალია თუ კაცი ან რა და რა წოდებისაა არის. ქვემო ხელის მომწერნი მდედრნი შესთხოვენ ღმერთს, რომ იმან დაამტკიცოს უფლება სიმართლისა და თანასწორებისა.“

—ქ ა ლ ე ბ ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო უ ფ ლ ე ბ ა შ ვ ე ც ი ა შ ი. შვეციის დედა-ქალაქიდამ იწერებიან: პოლიტიკურ ეკონომიის კამიტეტს მიანდეს, რომ თავისი აზრი გამოაცხადოს, თუ რამდენათ უნდა გავრცელდეს ქალის სამოქალაქო უფლება. კამიტეტმა დასდო ეს აზრი: რადგანაც ამას იქით ქალებიც უნდა შევიდნენ იმ თანამდებობაში, რომლის აღსრულებაც იმათ შეუძლიანთ, თუ მომზადებულნი იქმნებიან; რადგანაც ამ მიზეზისა გამო დედა-კაცებს უნდა მიეცეს უფლება, რომ ეგზამენი დაიჭირონ სასწავლებლებში, შევიდნენ სამეცნიერო უწყების წევრებათ უნივერსიტეტში და ეგზამენი მისცენ ყველა საუნივერსიტეტო ფაკულტეტებში, ღვთის-მეტყველების ფაკულტეტის გარდა, ამისთვისაც სახელმწიფო პირნი გამოაცხადებენ სურვილს, რომ მისმა დიდებულებამ კაროლმა ინებოს ღონის-ძიების მიღება და შესცვალოს ამის და გვარათ ახლანდელი წესი.

—რამდენიმე სტატისტიკური ცნობები ლონდონზედ. ლონდონში რიცხვი მცხოვრებლების არის 2 მილლიონი და 803 ათას სულამდე; შუა გამოანგარიშებით იხოცება კვირაში 1300 სული, იბადება 1800. ლონდონში ირიცხება 378 ათასი საცხოვრებელი სახლი, 851 ეკკლესია, 150 საავათმყოფო და ღარიბისათვის დანიშნული თავ-შესაფარი ალაგი, 40 სამსჯავრო პალატა, 14 საპყრობილე, 31 მუზეუმი (*), 22 თეატრი, 51 კლუბი, 12 კაზარმა, 24 ბაზარი, 12 ათასი ქუჩა და 70 სკვერი (ბაღი). ლონდონის მცხოვრებლების სხვა და სხვა საჭიროებას ასრულებენ: 30 ათასი მეპურე, 40 ათასი ვაჭარი, რომელნიც სხვა და სხვა საკოლონიო საქონლით ვაჭრობენ; 24 ათასი მამა-კაცის ტანისამოსის მკერვალი, 42 ათასი ქალის ტანისამოსის მკერვალი, 29 ათასი მეწაღე და 170 ათასი მზარეული, ქალი და კაცი, გოგოები და ლაქიები. ლონდონი ხარჯავს 13 ათასს ძროხის რძეს; სხვა და სხვა ალაგებიდამ კვირაში შემოდის 36 ათასი ღორი, 20 ათასი ხბო, 250 ათასი ხარი. ანგლიიდამ და სხვა ქვეყნებიდამ ლონდონში მოდის 16 მილ. და 275 ათასი ფუთი ხორბალი, 235 მილლიონი კვერცხი და 5 მილ. ქათამი, ინდოური, ბატი და იხვი. ტყეებიდგან ლონდონში შემოაქვთ 6 მილ. ნადირი. მეთევზეები ჰყიდიან 3 მილ. ორაგულს და სხვა აუარებელს თევზს. ამის გარდა ლონდონში იხარჯება 64 მილ. თუნგი პორტერი (*), 30 მილ. 600 ათასი თუნგი სხვა და სხვა არაყი, და 72 მილ. ღვინო. ქუჩებს ღამე ანათებს 400 ათასი გაზის ფანარი. ლონდონში იხმარება 372 მილ. ფუთი ქვის ნახშირი შეშის მაგიერათ.

(*) მუზეუმი არის შენობა, სადაც შეკრებილია ყოველ გვარი სახელოვნო, საისტორიო, ძველის დროების ნივთები და სხვა.

(*) ანგლიური ლუდი. ეს ისე კეთდება, როგორც ნამდვილი ლუდი, მაგრამ უმეტესი ძალა და ყუათი აქვს.

—პ რ ო ფ ე ს ო რ ე ბ ი ს და მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი რ უ ს ე თ ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ე ბ შ ი. ექვსს რუსეთის უნივერსიტეტში: პეტერბურგის, მოსკოვის, ყაზანის, ხარკოვის, ოდესის და კიევის, შტატით 497 პროფესორების და მასწავლებლების ადგილი არის დაწესებული. ამ რიცხვიდამ მხოლოთ 249 ადგილი არის დაჭერილი, დანარჩენი 248—დაუჭერელია.

—წარსულის წლის 16 დეკემბრიდგან სწერენ ოდესის ვესტნიკში, რომ ვრცელი ივერიის მონასტერი, ათონის მთაზედ, გადაიწვაო მთლათ საძირკვლამდე, ღამით 12 დეკემბერს. უმთავრესი ტაძარი გადაარჩინეს, ნივთები და რაც რომ ძველებური იყო ცეცხლიდამ გამოიტანეს. დაწვრილებითს ცნობას ამ შემთხვევისას და ზარალისას მოველით.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

—ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. გ. და სახელძღვანელოთ მიღებული საქართველოში ყოველს საერო და სასულიერო სასწავლებლებში, ისყიდება: ტფილისში—მელიქიშვილის და-კამპ. სტამბაში, ტერ-მიქელიანცის წიგნების მაგაზინში და სემინარიის სახლში იაკობ გოგებაშვილისას; ქუთაისში—სასულიერო სასწავლებელში, გერასიმე ქალანდარიშვილისას, გორში—სასულიერო სასწავლებელში, იოსებ ლაშაურისას, სიღნაღში-ბლაღოჩინის ღამბაროვისას; თელავში თ. გიორგი ჩიქონაისას. ფასი ერთი აბაზია.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში იყიდება.

კალმასობა, თხზულება იოანე ბატონიშვილისა, 1 ნაწილი. ფასი 2 მანეთია.

სიბრძნე-სიცრუის წიგნი, თხზულ. საბა ორბელიანისა. ფასი 10 შაური.

## კერძოობითი განცხადება.

წმინდა ნინოს ქალების ქველ-მოქმედებითის საზოგადოების რჩევა აცნობებს საერთოთ ტფილისის პუბლიკას, რომ წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოთ მოხდება ლატარია, მუშტაიდის ბაღში, დიდის დღეს, 10 აპრილს, სამის საათიდამ სადილის შემდეგ; იქვე ლატარიის დროს იქნება სათეატრო ორკესტრი და სამხედრო მუზიკის ხორა; საღამოთი ბაღში აინთება ილლუმინაცია (ჩირაღდანი). ფასი ბაღში შესვლისათვის ლატარიისა არის 50 კაპ. ადამიანზედ, და ალლეგრის ბილეთისათვის 25 კაპ. ყმაწვილებს შეუძლიანთ უფასოთ შემოვიდნენ. ბილეთების მიღება შეიძლება 9-ს აპრილამდე, მადამ ბუტტიხის მაგაზინში, ლატარიის დღეს კი—მუშტაიდში. თუ ვინიცობაა ცუდი ამინდი იქმნება ლატარიისთვის სხვა დრო დაინიშნება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го апрѣля 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში რედაქტორი გ. წერეთელი გამომცემელი ს. მელიქიშვილი.